ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 07 05 2019 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის
ბრძანება № 16

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქციის, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის, კვლევების დაფინანსების წესის, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობისა და კვლევის ხარისხის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება დანართი N1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია დანართი N2-ის შესაბამისად.
3. დამტკიცდეს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა დანართი N3-ის შესაბამისად.
4. დამტკიცდეს კვლევების დაფინანსების წესი დანართი N4-ის შესაბამისად.
5. დამტკიცდეს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობისა და კვლევის ხარისხის შეფასების წესი დანართი N5-ის შესაბამისად.
6. 2019 წლის 1 სექტემბრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2018 წლის 1 ნოემბრის N57 ბრძანებით დამტკიცებული ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება.
7. ბრძანება გასაცნობად გაეგზავნოთ: ბიზნენს, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლას, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლას, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს, სამეცნიერო კვლევებისა

და განვითარების სამსახურს, საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე, გარდა ამ ბრძანების პირველი და მე-2 პუნქტებისა. პირველი და მე-2 პუნქტები ამოქმედდეს 2019 წლის 1 სექტემბრიდან.

უნივერსიტეტის დამფუძნებლის
სრულუფლებიანი წარმომადგენელი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ქორეპისკოპოსი იაკობი (იაკობიშვილი) + მოსაგე იაკობ

THE FIRST-CALLED GEORGIAN UNIVERSITY OF PATRIARCHATE OF GEORGIA
MUJMAP ST. ANDREW 205233022